პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 147 (9308)
30 ივლისი, ოთხშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

გვიმრავლოს!

## საჩუქარი ბათუმელ ტანმოვარჯიშეებს

### რესპუბლიკის თვალსაჩინო სპორტულ ბაზებს კიდევ ერთი კომპლექსი შეემატა — ბათუმში მწყობრში ჩადგა ახალი სატანვარჯიშო კომპლექსი

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ეს ახალი კომპლექსი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მის გახსნას დაესწრნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი ვ. პაპუნიძე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, სხვა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები. ზეიმზე მოწვეული იყვნენ სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, სპორტული ტანვარჯიშის ვეტერანები.

მიტინგი გახსნა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. მარგალიტაძემ. მან ადგილობრივ სპორტსმენებსა და სპორტის მესვეურთ მიულოცა ახალი კომპლექსის მწყობრში ჩადგომა, ხოლო საქართველოს მეცხრე საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით სპორტულ ტანვარჯიშში გამართული ასპარეზობის მონაწილეთ მაღალი შედეგები და საკავშირო სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლა უსურვა.

შეკრებილთ მიესალმნენ აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე, ბათუმელი მხატვრული ტანმოვარჯიშე ე. მელნიკი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში რ. სიხარულიძე, მეხუთე სამშენებლო ტრესტის მუშა ს. ანოხინი.

სპორტული კომპლექსის დირექტორს მ. ლომიევს გადაეცა სიმბოლური გასაღები, ნორჩმა სპორტსმენებმა ყვავილები მიართვეს საპატიო სტუმრებსა და სპარტაკიადის მონაწილეებს. მიტინგის შემდეგ წარმოადგინეს სპორტულ-მხატვრული პროგრამა.

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს" კორ.**

ბათუმი.

## შეხვედრა სპორტსახკომში

**როგორც** ცნობილია, სპორტის რამდენიმე სახეობაში უკვე დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა IX საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში შეხვედრა მოუწყვეს სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობებიდან დაბრუნებულ მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებს. გამარჯვებულ სპორტსმენებს გულთბილად მიულოცეს წარმატება. ამასთან მთელი სიმკაცრით ითქვა, რომ თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენმა გუნდებმა ვერ გამოავლინეს შესაძლებლობები, აღინიშნა სპორტსახკომის ხელმძღვანელებისა და ჭიდაობის სამმართველოს მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებები.

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე სპარტაკიადაში გამარჯვებული სპორტსმენები და პრიზიორები სპორტის გულშემატკივრების წინაშე წარსდგებიან. მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ პრიზები და საჩუქრები.

მატჩ-რევანშის ირგვლივ

## ტეტჩერმა სიამაყით თქვა...

**ლონდონში** და, საერთოდ, ინგლისში, დიდ ინტერესს იწვევს კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანში. პიკადილზე, სადაც მდებარეობს სასტუმრო „პარკ-ლეინი", გამოფენილია საბჭოთა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ალმები. მატჩ-რევანშის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, დიდოსტატმა რაიმონდ კინმა (ინგლისი) განაცხადა, რომ კასპაროვ-კარპოვის შეხვედრამ ლონდონში მილიონობით ინგლისელის უჩვეულო ინტერესი გამოიწვია, რაც უეჭველად ხელს შეუწყობს ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას.

გაზეთები ფართოდ აშუქებენ მატჩის საზეიმო ცერემონიალში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მონაწილეობას.

„პრემიერ-მინისტრმა, ქალბატონმა მარგარეტ ტეტჩერმა, რომელიც, როგორც გახსნის საზეიმო ცერემონიალის ყველა დამსწრე, შავ-თეთრ სალამოს კაბაში იყო გამოწყობილი, ფიდე-ს პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის თანდასწრებით საზეიმოდ გახსნა მატჩი... თავის გამოსვლაში ქალბატონმა ტეტჩერმა დაუფარავი სიამაყით უამბო ჟურნალისტებს, რომ ამას წინათ ლონდონში ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ მას მიართვა ჭადრაკი თეთრი და ცისფერი ფიგურებით, რადგან ცისფერი ტორის პარტიის ფერია," — წერს ერთი გაზეთი.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ მართალია, ჭადრაკს არ ვთამაშობ, მაგრამ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი ამ თამაშისადმი, რომელიც შეიცავს სპორტის, ხელოვნებისა და მეცნიერების ელემენტებს. მან აღნიშნა, რომ ჭადრაკი აახლოებს ადამიანებს, ხელს უწყობს მათ შორის მეგობრული კონტაქტების დამყარებას.

იხ. მე-4 გვ.




**საქართველოს** სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო იმ აბიტურიენტ-სპორტსმენებს, რომლებმაც გადაწყვიტეს რესპუბლიკის მთავარ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარონ მისაღები გამოცდები. ჩვენი მოწინავე სპორტსმენები სიამაყის გრძნობით მოვიდნენ ამ შეხვედრაზე — ბევრმა მათგანმა სწავლასთან ერთად სპორტშიც ისახელა თავი.

დღეს ფიზკულტურამ და სპორტმა დიდი ადგილი დაიკავა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში. ამაზე ნათლად მეტყველებს მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა კეთილი ნების თამაშების მონაწილე სპორტსმენებთან. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში სპორტისადმი დიდ ინტერესს იჩენენ და ეს ინტერესი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის გასაშლელად. სპორტისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება იგრძნობოდა ამ დღეს უნივერსიტეტში. აქ ბევრი რამ გაკეთდა სპორტსმენთა საკეთილდღეოდ. ბაგებში — მაღალ კორპუსთან — მოეწყო ღია და დახურული სპორტული მოედნები. მალე აქვე დაიწყება ღია საცურაო აუზის მშენებლობა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს ფიზკულტურასა და სპორტში ყველა სტუდენტი ჩააბას. ამ საქმეში ავანგარდის როლი დაეკისრებათ სტუდენტ სპორტსმენებს, რომელთა რიგებს შეემატებიან შეხვედრაზე მოსული ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. ამაღლობელი.



**თბილისის** ლენინური კომკავშირის საწყლოსნო კომპლექსში გუშინწინ სალამოს მხოლოდ სპორტისა და ესტრადის სიყვარულით არ მოსულა მრავალრიცხოვანი მაყურებელი. როგორც აფიშები იუწყებოდა, საესტრადო-სპორტული სალამოს მთელი შემოსავალი ჩერნობილის დახმარების ფონდში გადაირიცხება. ეს ღონისძიება რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით ჩატარდა. ტრიბუნებზე 5 ათასამდე კაცი შეიკრიბა.

იმპროვიზებულ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართული ესტრადისა და თეატრის ცნობილი ოსტატები და კოლექტივები — ირაკლი უჩანეიშვილი და მარჯანიშვილის თეატრის როკ-ანსამბლი „თეატრონი", ქართლოს კასრაძე და ანსამბლი „ნატვრის ხე", პანტომიმის თეატრის მსახიობები ამირან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით და ბერძნული ანსამბლი „ელადა", მხიარული თოჯინების „სულისჩამდგმელი" ზალინაშვილები და ჯაზ-ანსამბლი „ბლიცი", ილუზიონისტი ნიკო ფარადაშვილი და სამეჯლისო ცეკვების ოსტატები...

სარბიელზე სპორტსმენებიც გამოჩნდნენ — საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები მხატვრულ ტანვარჯიშში (ხელმძღვანელი ნელი სალაძე), სინქრონულ ცურვაში (ხელმძღვანელი ნატალია მაშუკი), წყალში მხტომელები...

ორ საათზე მეტს გრძელდებოდა სპორტისა და ესტრადის დიდი დღესასწაული, რომელიც მოყვასისადმი თანადგომისა და ძმური დახმარების ამაღელვებელ დემონსტრაციად იქცა.

სურათზე: მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ციტატა

**სამკურნალო** ცხენოსნობა დიდი ხანი არ არის, რაც მედიცინაში დაინერგა და დღეს უკვე მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია აღიარებული, როგორც სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ეფექტური საშუალება. რაიტოთერაპია — ასე უწოდებენ ცხენით მკურნალობას — ამ რამდენიმე წლის წინ თბილისშიც დაიწყო. მისი თაოსანია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, წარსულში ცნობილი მხედარი დიმიტრი წვერავა. თბილისის იპოდრომზე ახლა ხშირად შეხვდებით რაიტოთერაპიის ჯგუფში მომეცადინეებს. აქ ძირითადად მიოკარდის ინფარქტგადატანილ პაციენტებს მკურნალობენ. დ. წვერავასთან ერთად (აქ სულ ოთხი ასეთი ჯგუფია) მონდომებით მუშაობს ექიმი მ. ლორია.

ახლა კი გთავაზობთ ამონაწერს გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიაში" გამოქვეყნებული წერილიდან:

Пролетарии всех стран, соединяйтесь!
**Социалистическая ИНДУСТРИЯ**
Газета Центрального Комитета КПСС
Основана в 1969 году ● № 174 (5165). Воскресенье, 27 июля 1986 г. ● Выходит ежедневно, кроме понедельника ● Цена 3 коп.

**„თვით პროცესი ადამიანისა და ცხენის ურთიერთობისა, — გვიხსნის დ. წვერავა, — კეთილსასურველ ფონს ქმნის. ახლა რამდენს აძლევს ავადმყოფს ცხენის მართვატარებასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა! მხედარი ყოველ წუთს იმკის მისთვის ესოდენ აუცილებელ გამარჯვებას — თავის ნება-სურვილს უმორჩილებს ცხენს, მიჰყავს იგი საჭირო მიმართულებით, ეუფლება ცხენოსნობის ტექნიკურ სირთულეებს. ეს იწვევს საკუთარი ძალის რწმენას, ხსობს ავადმყოფობით გამოწვეულ არასრულფასოვნების გრძნობას.**

**— მიოკარდის ინფარქტით დაავადებულთა ცხენოსნობით მკურნალობის გამოცდილება სასურველ შედეგებს იძლევა, — ასე ფიქრობს თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ყიფშიძე.**

## მაია — სოფელ ქაქუთის სტუმარი

**ჩოხატაურის** რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სამგზის მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბერაძემ, მეჩაიეებმა, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და ახალგაზრდა კოლმეურნეებმა სტუმარს თავიანთ მიღწევებზე მოუთხრეს და გზა დაულოცეს ჰოლანდიისკენ, სადაც მან ვაქთა საერთაშორისო ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა ე. ახმილოვსკაიასთან მატჩისთვის მზადების პროგრამის მიხედვით.

მაია ჩიბურდანიძემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს. შემდეგ მსოფლიო პირველობის მომავალ მატჩზე ილაპარაკა და უპასუხა შეკითხვებს.

**„ლელოს" კორ.**

# გარდაქმნის წახნაგები



**მოახლოვდა მისაღები გამოცდები. უმაღლესი სკოლისათვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი პერიოდი. ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა პროექტიდან გამომდინარე, წლეულს მისაღები გამოცდები ახლებურად ჩატარდება. დიახ, იწყება ახალი ეტაპი უმაღლესი და საშუალო სკოლის ცხოვრებაში.**

— გარდაქმნის ამოცანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ დასახა და იგი დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი, — თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა **ომარ ჯოჯიაშვილმა**. — გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა განხორციელება მთლიანად ახალ რელსებზე გადასვლას გულისხმობს და ამისთვის, ცხადია, გარკვეული დროა საჭირო. ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს სერიოზული სამუშაოები, რათა უკვე ახალი სასწავლო წლიდან საფუძვლიანად გადახალისდეს უმაღლესი სკოლის სტრუქტურა. რეფორმიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ ამას წინათ მიიღო პირველი დადგენილება, რომელიც ძირითადად მისაღებ გამოცდებს შეეხება. უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებში რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის სიახლეა, რაც, ცხადია, ჩვენს ინსტიტუტშიც დაინერგება. პრესაში უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ შემცირდა მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგანთა რაოდენობა. ფიზკულტურის ინსტიტუტებში, მაგალითად, საგამოცდო საგნების სიიდან ამოღებულია ქიმია (ადრე ეს საგანი, როგორც წესი, ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე ბარდებოდა). საერთოდ, კურსი იქითკენ არის აღებული, რომ ამა თუ იმ დარგის მომავალი სპეციალისტი მხოლოდ მისთვის აუცილებელ საგნებს დაეუფლოს საფუძვლიანად.

წელს პირველად ტარდება საპროფორიენტაციო გასაუბრება აბიტურიენტებთან. უკვე დამტკიცდა საპროფორიენტაციო კომისიის შემადგენლობა და შესაბამისი დებულება.

**◉ კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს დებულება?**

— საპროფორიენტაციო კომისიის ამოცანაა დაეხმაროს ახალგაზრდებს მომავალი პროფესიის არჩევაში, შეამოწმოს მათ მიერ შემოტანილი საბუთები, საერთო და პროფესიული მომზადება. საპროფორიენტაციო კომისიას აქვს საგამოცდო კომისიის უფლებები და ღებულობს გადაწყვეტილებას აბიტურიენტისთვის დამატებითი ქულების (ერთიდან სამამდე) მინიჭების შესახებ. დამატებითი ქულები იწერება უწყისში და საგამოცდო ფურცელში. ჩვენი ინსტიტუტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ მოთხოვნათა ნუსხა, რომლის მიხედვით განისაზღვრება დამატებითი ქულების ოდენობა.

**◉ მისაღები გამოცდებისთვის მზადების პერიოდში ალბათ ბევრი სხვა სამუშაოებიც შესრულდა.**

—დიახ, წელს განსაკუთრებული გულმოდგინებით ვემზადებით მისაღები გამოცდების მაღალ დონეზე, ობიექტურობისა და საჯაროობის ვითარებაში ჩასატარებლად. შეირჩა საგნობრივი კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ როგორც ჩვენი ინსტიტუტის, ისე რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, გამოიცა აბიტურიენტის ცნობარი, მოეწყო „ღია კარის“ დღეები, აღვადგინეთ ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები (ამ კურსებზე 160-მდე აბიტურიენტი ირიცხება)... ერთი სიტყვით, გაკეთდა ყველაფერი, რასაც საკავშირო ინსტრუქცია ითვალისწინებს.

**◉ მოდით, ისევ გარდაქმნის პროექტს მივუბრუნდეთ. პროექტი ბევრ სხვა მომენტთან ერთად სპეციალისტთა მომზადების ხარისხის მკვეთრ ამაღლებასაც ითვალისწინებს. არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს ისეთი საკითხები, როგორიცაა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, სპეციალობების სწორი დაგეგმვა, კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილება....**

— რა თქმა უნდა, უმაღლესი სასწავლებლის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა. მისი მუშაობაც უპირველესად ამ კრიტერიუმით ფასდება. ჩვენს ინსტიტუტში შექმნილია იმის საფუძველი, რომ არ ჩამოვრჩეთ გარდაქმნის ტემპებს. საამისოდ სამეცნიერო პოტენციალიც გაგვაჩნია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. მკვიდრდება ლექციური, სემინარული და პრაქტიკული მუშაობის ახალი, საინტერესო ფორმები, გააქტიურდა სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო, შარშან მუშაობას შეუდგა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი ფაკულტეტი, სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, პირველ მსმენელებს მიიღებს ინსტიტუტის ასპირანტურა. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობის ინტერესი ჩვენი დარგისადმი სულ უფრო იზრდება, რაც განპირობებულია თვით ფიზკულტურისა და სპორტის ასპარეზის გაფართოებით, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით... ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ წელს მისაღებ გამოცდებზე, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით დიდი კონკურსი იქნება. აქვე ერთსაც ვიტყვი: შარშან მაგალითად, სანახევროდ ვერ დავაკმაყოფილეთ განათლების ორგანოების, სამინისტროების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მოთხოვნები ჩვენი დარგის სპეციალისტებზე. ასეთ სიტუაციაში, სამწუხაროდ, ყოველწლიურად მცირდება ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტის რიცხვი. წელს დღის განყოფილებაზე მხოლოდ 175 კაცს მივიღებთ, მაშინ როცა ხუთი წლის წინ 250 ადგილი გვქონდა. ვიმედოვნებთ, რომ მომავლისთვის ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება. რა თქმა უნდა, ბევრი სხვა პრობლემაც გვაქვს, მაგრამ ჩვენი დღევანდელი საზრუნავი მისაღები გამოცდებია. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა წარმატება ვუსურვო ყველა აბიტურიენტს, ვინც ფიზკულტურის ინსტიტუტში შემოსასვლელად ემზადება.

**◉ თქვენ კონკურსი ახსენეთ. დღეისათვის რამდენი განცხადებაა შემოსული?**

— დღის დასწრებულზე და დაუსწრებელ სწავლებაზე შარშანდელთან შედარებით ერთი მესამედით მეტი განცხადებაა შემოსული. ცხადია, დღეს და ხვალ კიდევ ბევრი განცხადება შემოვა. აბიტურიენტთა შორის საქართველოს ნაკრები გუნდების 150-ზე მეტი წევრი და კანდიდატია, მათ შორის საკმაოდ ცნობილი სპორტსმენებიც არიან.

ესაუბრა
**ელგუჯა ბერიშვილი.**

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

**სპორტტექნიკურ კომისიაში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს საფეხბურთო მინდვრებზე სრული წესრიგის დამყარებისათვის

**რესპუბლიკის** პირველი და მეორე ლიგების საფეხბურთო გათამაშებებში დაშვებულ დარღვევებზე რესპუბლიკის ხელმძღვანელ საფეხბურთო ორგანოებს კვლავ უხდებათ რადიკალური ზომების მიღება.

ამას წინათ შედგა საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომა (თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჯაველიძე), სადაც განიხილეს უდისციპლინობის, უწესრიგობის სხვადასხვა შემთხვევები და დამნაშავეთა მიმართ გადამჭრელ ზომებს მიმართეს.

თელავის „კახეთის“ ფეხბურთელმა ზ. ჯაშიაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. ზ. ჯაშიაშვილმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რა სახელის ღირსიცაა ამის გამო, არბიტრი სპორტული შეჯიბრების ოფიციალური პირია და მის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი, უცენზურო გამოთქმისთვის ფეხბურთელს კარგი არაფერი მოელის. ზ. ჯაშიაშვილი არ დაერიდა ამას და წესიერებას ხულიგნობა არჩია. „კახეთის“ ამ ფეხბურთელს დებულების შესაბამისად 10 კალენდარული მატჩით აეკრძალა საქართველოს პირველობის თამაშებში მონაწილეობა. ცხადია, სპორტტექნიკური კომისიის ეს გადაწყვეტილება თელაველთა მთელი საფეხბურთო კოლექტივის მსჯელობის, საერთო განხილვის საგნად უნდა იქცეს, ეტყობა, ზ. ჯაშიაშვილი გამონაკლისი არაა თავის გუნდში, ამიტომ „კახეთის“ ხელმძღვანელობამ და, საერთოდ, თელავის სპორტის მესვეურებმა საგანგებოდ უნდა გაამახვილონ ყურადღება ასეთთა უმგვანი საქციელის აღსაკვეთად.

ერთ-ერთ მატჩში დაურიდებლად, უხეშად ითამაშა წყალტუბოს „შადრევნის“ ფეხბურთელმა დ. ონიანმა. ამის გამო მას 3 კალენდარული მატჩით მიეცა დისკვალიფიკაცია.

სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე საგანგებოდ განიხილეს წულუკიძის „დილისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ მატჩში მომხდარ დარღვევათა საკითხი (თამაში წულუკიძეში შედგა). სპორტტექნიკურმა კომისიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ წულუკიძის „დილაში“ სპორტული ეთიკისა და დისციპლინის ელემენტარულ ნორმებსაც კი არ იცავენ. წულუკიძის სტადიონზე თამაშის დღეს არ იყო საჭირო წესრიგი, ექსცესებს მაყურებელთა მხრივაც ჰქონდა ადგილი, ამის გამო ამ სტადიონს დისკვალიფიკაცია მიეცა. „დილის“ გათამაშებიდან მოხსნას დაეთანხმა სპორტსახკომის ხელმძღვანელობა.

მკაცრი სასჯელი დაედოთ წულუკიძის „იმერეთის“ ფეხბურთელებსაც, რომლებიც თამაშს ესწრებოდნენ და ერთობ უდისციპლინოდ იქცეოდნენ. მატჩის მსაჯების საკითხი განსახილველად გადაეცა მსაჯთა რესპუბლიკურ კოლეგიას.

* * *

საქართველოს II ლიგის პირველობის დასავლეთ ზონაში გალის რაიონის სოფ. ოქუმის „ნაპერწკალმა“ თავის მინდორზე მიიღო ხობის „კოლხეთი“. მიუხედავად იმისა, რომ მატჩზე იყვნენ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, სტადიონზე ყოვლად დაუშვებელი უწესრიგობა ხდებოდა, ზოგიერთებმა მსაჯთა ფიზიკური შეურაცხყოფაც კი სცადეს. რამდენიმე წრესგადასული ადგილობრივი გულშემატკივრის გარდა ყოვლად დაუშვებლად იქცეოდნენ გალის „მზიურის“ ფეხბურთელებიც, რომლებიც თამაშის მსვლელობისას ტრიბუნაზე ისხდნენ. კერძოდ, „მზიურის“ წევრმა ზ. კვეკვესკირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც ზ. კვეკვესკირს აეკრძალა ფეხბურთის თამაში ოფიციალურ შეჯიბრებებში, 10-10 კალენდარულ მატჩში აეკრძალათ საქართველოს პირველობაში მონაწილეობა „ნაპერწკლის“ ფეხბურთელებს მ. საჯაიას და გ. ჩხაპელიას.

ოქუმის „ნაპერწკლის“ სტადიონი დისკვალიფიცირებულია 5 კალენდარული თამაშით, „ნაპერწკალი“ ამ შეხვედრებს ჩაატარებს ნეიტრალურ მინდორზე რაიონის ფარგლებს გარეთ.

გალის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ნ. კორსანტიას, აგრეთვე, „ნაპერწკლის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი სპორტტექნიკური კომისიის რეკომენდაციით განსახილველად გადაეცა რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს.

გურჯაანის „ალაზნის“ ფეხბურთელმა გ. ზარიძემ და მარნეულის „კოლმეურნის“ ფეხბურთელმა ფ. ფოლადოვმა თამაშის მსვლელობისას ერთმანეთთან ჩხუბი ატეხეს. გ. ზარიძეც და ფ. ფოლადოვიც დისკვალიფიცირებული არიან ოფიციალურ შეჯიბრებებში.

# ზოგიერთი ტერმინის დაზუსტებისათვის

**მიმდინარე** წლის 4 ივნისს „ლელოში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება დღეისათვის ხმარებაში არსებული ცნებების თავმოყრის აუცილებლობის შესახებ, თუნდაც ბროშურის სახით. წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. დიახ, დადგა დრო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა და ფიზკულტურის მუშაკებმა იცოდნენ რას რა ჰქვია, რომ თავიანთ აღსაზრდელებს სწორად განუმარტონ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში დამკვიდრებული ტერმინები და ცნებები.

რასაკვირველია, ბევრი ცნება უკვე სწორადაა განმარტებული და პრაქტიკაშიც დანერგილია, მაგრამ ზოგიერთი არასწორადაა განმარტებული. ამ წერილში გვინდა ერთ-ერთი მათგანის შესახებ ვისაუბროთ.

ფიზკულტურულ მოძრაობაში სხვადასხვა ასაკისა და მომზადების მქონე მოსახლეობაა ჩაბმული. ეს კონტინგენტი ძირითადად ჯანმრთელია და მისი მიზანია ჯანმრთელობის განმტკიცება, აღნაგობის, მისი ფორმის და ფუნქციების სწორი განვითარება-ჩამოყალიბება.

გვყავს ბავშვებისა და მოზრდილების შედარებით მცირერიცხოვანი კონტინგენტიც, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ამჟამინდელი ცხოვრების წესით გამოწვეული მიზეზებით (მხედველობაში გვაქვს ჰიპოდინამია, რასაც სამეცნიერო-ტექნიკური პრო-

ბა შერყეული აქვთ. საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი ამოცანაა ასეთი საშიშროების უვნებელყოფა, დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება. ასეთი კონტინგენტიდან იქმნება ე. წ. „სპეციალური ჯგუფები“, რომელთაც მეცადინეობები უტარდებათ სამკურნალო ფიზიკურ კულტურაში. დიახ, მათთვის ფიზკულტურული მუშაობა მართლაც გამაჯანსაღებელია, მაგრამ ამ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ უფლება არა გვაქვს საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაზე ვილაპარაკოთ, როგორც გამაჯანსაღებელზე.

საბჭოურ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა ძირითადი ბირთვი ჯანმრთელია. მაშ რატომ ვუწოდებთ მთელს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას გამაჯანსაღებელს? აქ ლაპარაკი არ გვაქვს ცალკეულ შემთხვევებზე. ბევრი მუშაკი, მათ შორის მეცნიერებიც კი, პრესა, რადიო და ტელევიზია, ფიზკულტურულ მოძრაობას „გამაჯანსაღებელს“ უწოდებს, სასწავლო სახელმძღვანელოშიც ასე მოიხსენიებენ მას. მაგალითად, ფიზიკური აღზრდის თეორიის ერთ-ერთ მეთოდურ სახელმძღვანელოში (1) 73, 16-17) ფიზიკური აღზრდის ამოცანები ასეა წარმოდგენილი: ა). გამაჯანსაღებელი; ბ). საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ამოცანები. უცნაური თანამიმდევრობაა. გამაჯანსაღებლად თვლიან ჯანმრთელობის და ორგანიზმის გაკაჟებას,

რი ფუნქციების ჰარმონიულ განვითარებას, შრომისუნარიანობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალი დონის უზრუნველყოფას. მაგრამ ეს ამოცანები არ შეიძლება დავუსახოთ ავადმყოფ კონტინგენტს, იგი მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელი მოსახლეობისადმი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების პედაგოგიურ ფაკულტეტებზე ახალი საგანიც კი შემოიღეს — „მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მეთოდიკა“. როგორც ხედავთ, საგნის თვით დასახელებაც არ არის სწორი. ამ საგნის პროგრამაში ნათქვამია, რომ „ფართოდ და სისტემატიზებულად მჟღავნდება ფიზიკური კულტურის გამაჯანსაღებელი ფუნქციები“ (გვ. 3) და რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ეფექტად ითვლება ჯანმრთელობის განმტკიცება და შენარჩუნება, ავადმყოფობის პროფილაქტიკა. არც ერთი ეს ფაქტორი გაჯანსაღებას არ ნიშნავს. თანაც პროგრამაში ბევრი საკითხი (მაგალითად, გამაჯანსაღებელი რბენა, გამაჯანსაღებელი ნიჩბოსნობა) არ არის სწორად გაშუქებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის მომავალ გარდაქმნასთან დაკავშირებით, ასეთ საკამათო საკითხებს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და მართებულად გადაწყდება კიდევ ერთი ცნების საკითხი.

ავიღოთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის“

ზიკური კულტურის მთელი საბჭოური სისტემის და ჩვენი მუშაობის საპროგრამო და სანორმატივო ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტში შეგნებულად არ არის ლაპარაკი გაჯანსაღებაზე.

მაშ რა არის გამაჯანსაღებელი მუშაობა?

ფიზიკური კულტურის გამაჯანსაღებელ უნარზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა ჯანმრთელობიდან გადახრასთან, მათ შორის ასაკობრივი ხასიათის ცვლილებასთან გვაქვს საქმე. ფიზიკური კულტურა მოწოდებულია შეებრძოლოს ავადმყოფობას, აღადგინოს ავადმყოფობით დაკარგული ენერგია, ფიზიკური ვარჯიშების შერჩევითა და სწორი დოზირებით საშუალება არ მისცეს ავადმყოფობას ისევ განვითარდეს. სულ სხვაა, როცა ფიზიკური ვარჯიშები გამოიყენება როგორც წამალი, ორგანიზმის გასაჯანსაღებლად, ე. ი. როცა ვცდილობთ მოვსპოთ ავადმყოფობის კერა, მაშინ მართლაც გაჯანსაღება ხდება. ცნობილია, რომ ავადმყოფმა პირველ რიგში უნდა იმკურნალოს სამედიცინო საშუალებებით, მათ შორის სპეციალურად დოზირებული აქტიური მოძრაობა-მოქმედებებით. ეს ხორციელდება სამკურნალო ფიზიკური კულტურის მეთოდისტების მეშვეობით. ამის შემდეგ პრაქტიკულად გაჯანსაღებული ადამიანი

იხ. მე-4 გვ.

**მოკლედ**

## გამარჯვება გმირ ქალაქში

**საბჭოთა** კავშირის გმირის კლიმენტი ვოროშილოვის სახელობის საკავშირო საჭადრაკო ფესტივალზე, რომელიც ვოროშილოვგრადში გაიმართა, ამოცანებისა და კომბინაციების გადაწყვეტისთვის მოწყობილ კონკურსში I ადგილი ვანელმა მოჭადრაკეებმა დაიკავეს. ქართველი ჭაბუკები ასეთი შემადგენლობით ეწვივნენ უკრაინის ამ ქალაქს: პაატა ჩხეიძე, გოგი ჩაჩუა, შოთა რამიშვილი, თამაზ ფახურიძე, ლუბა გუმბერიძე და მაკა მაჩიტიძე.

**გ. კარახი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## დაუმარცხებლად!

**ალახაძეში** ჩატარდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ლიგა პირველობა მოჭადრაკე ქალთა შორის. შეჯიბრებაში ერთი ოსტატი და ათი ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. აფხაზეთის ამ ლამაზმა სოფელმა ჩვენი ქვეყნის შვიდი ქალაქის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ტურნირი დაუმარცხებლად განვლო თბილისელმა ნინო ფილიამ, მან 8 ქულა მოაგროვა (+6—0=4) და საზოგადოების ჩემპიონის სახელი მოიპოვა. II-III ადგილები გაიყვეს მოსკოველმა მარინა სოკოლოვამ და კიეველმა ოსტატმა ელენა ტიტოვამ — 7-7 ქულა.

**გიორგი ფამილიანცი.**

## უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვსა და მინსკში შედგა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ორი მატჩი:

„დინამო" მნ. — „დინამო" კ. 1:1
„ტორპედო" მ. — „კაირათი" 0:1

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის.

ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა.



## ზაფხული, ბავშვები, ფეხბურთი

**ზაფხული,** არდადეგები... ბავშვებს უმეტესად ამ პერიოდში აქვთ დრო ითამაშონ ფეხბურთი, ითამაშონ გატაცებით, დილიდან საღამომდე. სწორედ ზაფხულში იმართება „ტყავის ბურთის" კლუბის გათამაშებანი, ეს მასობრივი შეჯიბრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევს.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ 8-14 ივნისს ფეხბურთის საკავშირო კვირეული ჩატარდა, „ტყავის ბურთის" ცენტრალური კლუბის შტაბის გადაწყვეტილებით 6-12 ივლისს კიდევ ერთი ასეთი კვირეული გაიმართა, ამჯერად, პიონერულ ბანაკებში, 14-დან 20 სექტემბრამდე ასეთივე შეჯიბრებები მოეწყობა საცხოვრებელ ადგილებში, ეზოებში, სკოლებში. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, მათაც, ვინც უკვე თამაშობს ფეხბურთს, და მათაც, ვისაც სურს ამ საინტერესო თამაშის ანბანს დაეუფლოს. ტურნირები ნორმალური ზომის მინდვრებზე და მინი-ფეხბურთში ამ კვირეულების ძირითადი ღონისძიება იქნება. თამაშები ჩატარდება ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ნორჩები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ბურთის ფლობის ტექნიკასა და ფიზიკური მომზადების ელემენტებში, ჩატარდება კონკურსები ფეხბურთის წესების ცოდნაში და „საფეხბურთო ერუდიტებისთვის", ბავშვები ნახავენ ფეხბურთის თემაზე გადაღებულ ფილმებს.

ფეხბურთის კვირეულის ჩატარების წერილობითი ანგარიში შეგიძლიათ გაგზავნოთ „ტყავის ბურთის" კლუბის ცენტრალურ შტაბში მისამართით: 101000, მოსკოვი, ლუჩნიკოვის შესახვევი, № 2. მესამე კვირეულის შეჯიბრებათა ანგარიში უნდა გაიგზავნოს 30 სექტემბრამდე: ანგარიშში უნდა ჩაიწეროს, თუ რამდენი გუნდი და ფეხბურთელი მონაწილეობდა კვირეულში, ვინ გაიმარჯვა, კონკურსების შედეგები, აგრეთვე, სხვა საინტერესო ცნობები.

ბოლოს, იმის შესახებ, თუ როდის და სად გაიმართება ალკკ ცენტრალური კომიტეტის კლუბ „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშების საკავშირო ფინალური ტურნირები. უმცროსი ასაკის ფეხბურთელები ითამაშებენ **ვინიცაში,** საშუალო ასაკისა — **ლიპეცკში,** ხოლო უფროსი ასაკის ბავშვები — **ალმა-ათაში.** სამივე ტურნირი გაიმართება 15-27 აგვისტოს.

**ფეხბურთი**

## ისევ მსაჯთა შეცდომებზე

მექსიკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე უნგრელი ანდრაშ სლავიკი იყო. სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ „ნეპშპორტში" მან გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მსაჯთა შეცდომები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია", რომელშიც ამბობს: „ჩემპიონატის ზოგიერთი მატჩის შედეგი ფეხბურთელთა თამაშმა კი არა, მსაჯთა შეცდომებმა განსაზღვრეს"...

სლავიკის აზრით, ეს ჩემპიონატი თავისი წინამორბედებისგან არაფრით განსხვავდებოდა, რადგან მსაჯთა შეცდომებისგან ამ რანგის ტურნირები დაზღვეული არასოდეს ყოფილა. სლავიკი ხაზს უსვამს არბიტრთა ლაფსუსებს:

— მარადონამ ინგლისელთა კარში გოლი მართლაც ხელით გაიტანა, მაგრამ ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. არგენტინელები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს. ესპანელების მიერ ბრაზილიელთა კარში გატანილ გოლს არც მე ჩავთვლიდი, არბიტრის გვერდით რომ ვმდგარიყავი. იქიდან, ცხადია, არაფერი ჩანდა. სხვა საქმეა ის, რომ მსაჯმა დროზე ვერ დაიკავა კარგი პოზიცია მომენტის შესაფასებლად. მაგრამ ესპანელები მაინც ხომ გავიდნენ მეოთხედფინალში?

სლავიკის განცხადებით, ამ ჩემპიონატში ყველაზე მეტად საბჭოთა ნაკრები დაიჩაგრა. ბელგიელებმა ორი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს და ამით მეტოქეს ბრძოლის გაგრძელების ყველა შანსი მოუსპეს.

## ბრაზილიელები გონს მოდიან

გაისად ბრაზილიის ნაკრები ევროპაში, აშშ-სა და მექსიკაში ამხანაგური მატჩების სერიას გამართავს. ფეხბურთის კონფედერაცია ამ შეხვედრებში იმ ახალგაზრდა სპორტსმენთა შესაძლებლობებს შეამოწმებს, რომელთაც შესაძლებელია მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მოუხდეთ თამაში. ბრაზილიელები ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ მზადების პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპის გუნდებთან კონტაქტებია, მით უფრო, რომ მომავალი ჩემპიონატი სწორედ ევროპაში ტარდება. მათ უკვე დაასახელეს სპარინგ-პარტნიორები. ესენი არიან: ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ინგლისის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდები.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის დირექტორმა პედრო ლოპესმა სპეციალისტებს უფრო შორეული გეგმებიც გააცნო. 1987 წლის ხრძელვადიანი ტურნეს შემდეგ ნაკრები 1988 წელს შინ დარჩება და უცხოურ გუნდებს უმასპინძლებს, 1989 წელს კი ისევ ევროპაში გაემგზავრება.

## რეფორმები პოლონეთის ფეხბურთში

პოლონეთში დაბრუნების შემდეგ ქვეყნის ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანტონი პეხნიჩეკმა დეტალურად გააანალიზა გუნდის თამაში მექსიკაში და აღნიშნა, რომ წარუმატებლობას რამდენიმე ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

ჯერ ერთი, პეხნიჩეკის აზრით, ზოგიერთი წამყვანი ფეხბურთელი ნაკრების მზადებაში მთლიანად არ იყო ჩაბმული და გუნდს სრულფასოვანი ვარჯიშისთვის ცოტა დრო ჰქონდა. ნაკრების თამაშზე უარყოფითად იმოქმედა ეროვნული ჩემპიონატის დაბალმა დონემაც. გარდა ამისა, გუნდს არ ჰყავდა ჭეშმარიტი ლიდერი, ისეთი როგორიც, ვთქვათ, 1982 წელს ლატო ან ბონეკი იყვნენ. პეხნიჩეკის აზრით, ამჟამად პოლონეთში საერთაშორისო კლასის ერთი ფეხბურთელიც კი ვერ მოიძებნება.

ამ და სხვა მიზეზების გამო მან თავის თანამდებობაზე უარი თქვა. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ უფროსი მწვრთნელის პოსტზე კონკურსი გამოაცხადა, მანამდე კი ლიგის თამაშების მეთვალყურეობა და ნაკრების კანდიდატთა შერჩევა დაევალა მწვრთნელთა შტაბს, რომელსაც კაზიმეჟ გურსკი უხელმძღვანელებს.

## მსოფლიო ჩემპიონატის ექო

MEXICO86

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ სულ ახლახან საგანგებო სხდომა მოიწვია და დაადგინა შეცვალოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სისტემა. მომავალ ჩემპიონატში გუნდს, რომელიც მეტოქეს 3 და მეტი ბურთის უპირატესობით მოუგებს, დაეწერება 3 ქულა, უფრო ნაკლები სხვაობით გამარჯვებისთვის — 2 ქულა, ფრედ დამთავრებული მატჩისთვის — 1 ქულა.

პოლონეთის პირველი ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი, ბოლო 4 ადგილზე გასულნი გადაინაცვლებენ უფრო დაბალ ლიგაში (უწინ პირველ ლიგას 2 გუნდი ტოვებდა).

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია იმედოვნებს, რომ ახალი სისტემა მნიშვნელოვანი სტიმული აქტიური, შედეგიანი თამაშისთვის.

## 21-ე საუკუნის ანგარიშში

ჩინეთში ფეხბურთმა ბოლო დროს დიდი პოპულარობა მოიპოვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციას ანალოგიური ტურნირის მასპინძლობის სურვილიც გაუჩნდა.

— არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ჩინეთის კანდიდატურა ოფიციალურად წამოვაყენოთ, — განაცხადა ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, — მაგრამ არ ვჩქარობთ ჩემპიონატის მასპინძლობას, რა თქმა უნდა, თუ მხარს დაგვიჭერენ, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის, უფრო ზუსტად კი 2002 წლისთვის ვაპირებთ.

16 წელიწადი არც ისე დიდი დროა და სავსებით შესაძლებელია ამ ხნის განმავლობაში საფეხბურთო ფიესტამ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებიდან აზიაში გადაინაცვლოს, ყოველ შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. ავილანჟმა მექსიკაში გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ასეთი მოსაზრება გამოთქვა.

შარშან, როგორც ცნობილია, ჩინელებმა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლეს. პრეზიდენტი ამ შეჯიბრების ორგანიზაციითა და შედეგებით კმაყოფილი დარჩა, მისი პირადი სიმპათიებიც სწორედ ამითაა გამოწვეული.

ფიფა-ს წევრი ჩინეთი ჯერ კიდევ 1931 წელს გახდა, მაგრამ ეროვნული ფედერაცია მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ჩამოყალიბდა. 1958 წელს ამ ქვეყანამ დატოვა საერთაშორისო ფედერაციის რიგები და მას მხოლოდ 4 წლის წინ, 1982 წელს დაუბრუნდა.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბედი უკვე გადაწყვეტილია. იგი იტალიაში ჩატარდება. 1994 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე განაცხადი, ავილანჟის თქმით, მხოლოდ მაროკოსა აქვს შეტანილი.

## არაფერი შეცვლილა

როგორი ფორმულით ჩატარდება ფეხბურთელთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი? გაუჩნდა თუ არა ფიფა-ს რაიმე მოსაზრება ამის თაობაზე? აპირებს თუ არა ავილანჟი ფინალურ ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებას? ამ და სხვა კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს რიო-დე-ჟანეიროში ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე.

— რატომ უნდა შეიცვალოს ფორმულა,—თქვა პრეზიდენტმა, როცა მას ფაქტიურად არცა ჰყავს მოწინააღმდეგე, აი, მომხრე კი რამდენიც გნებავთ. კულისებში გამოთქმულ შენიშვნებსა და პრეტენზიებს ჩვენ, ბუნებრივია, ყურადღებას არ ვაქცევთ, ოფიციალურად კი არსებული სისტემის წინააღმდეგ არავის გაულაშქრია.

24 გუნდი, ავილანჟის აზრით, ყველაზე ხელსაყრელი და ოპტიმალური ვარიანტია. იტალიელებთან (მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებთან) ჩვენ კიდევ გვექნება მოლაპარაკება ამის თაობაზე, განაცხადა პრეზიდენტმა, მაგრამ საკვანძო საკითხებში შეთანხმება უკვე მიღწეულია. უმნიშვნელო დათმობებზე წასვლა, ალბათ, მოგვიწევს, მაგრამ უფრო ორგანიზაციული ხასიათის საკითხებში. ფედერაცია ასეთ კომპრომისზე ადრეც მიდიოდა.

## მკაცრი სანქციები

კონფლიქტმა პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის ბოლო დროს კულმინაციას მიაღწია. უთანხმოება ჯერ კიდევ მექსიკის ჩემპიონატის წინ დაიწყო, ხოლო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ფედერაციამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველს ველოშს ნაკრებში თამაში აუკრძალა — ფეხბურთელს აღმგზნები საშუალებების მიღებაში დასდეს ბრალი. მართალია, მან შემდგომში თავის გამართლება შეძლო, მაგრამ უკვე გვიან იყო. ველოშის ნაცვლად შემადგენლობაში სობრინიო ჩაირიცხა.

მექსიკის ჩემპიონატის შედეგების განხილვისას ეროვნული ნაკრების გამოსვლა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალეს, რვა ფეხბურთელი კი გუნდიდან გაირიცხა. დისკვალიფიცირებულთა შორის არიან ნაკრების კაპიტანი მანუელ ბენტუ, აგრეთვე მანუელ დუშ სანტუში, დიამანტინო და სხვები. პორტუგალია ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისს ფაქტიურად ახალი გუნდით დაიწყებს.

## პასარელა უკმაყოფილოა

მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონმა დანიელ პასარელამ მექსიკის ჩემპიონატის წინ მწვავე ინფექციური დაავადება გადაიტანა. მწვრთნელებმა მაინც ჩარიცხეს ნაკრების შემადგენლობაში, თუმცა პასარელას მექსიკაში არც ერთი შეხვედრა არ უთამაშია.

— მაყურებლის როლში ყოფნა, ცხადია, უფრო ძნელია, ბევრი რამ ამჯერად სხვა თვალით დავინახე. ბრაზილიასა და საფრანგეთს, ჩემის აზრით, ახალი არაფერი უჩვენებიათ. მეტსაც გეტყვით, ეს ჩემპიონატი თავის წინამორბედს ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც აშკარად ჩამოუვარდებოდა.

პასარელას აზრით, საბჭოთა კავშირისა და დანიის გუნდები ახალი ტენდენციების დამკვიდრებას ცდილობდნენ, მაგრამ პირველი მსაჯის შეცდომების მსხვერპლი გახდა, მეორეს კი უბრალოდ არ გაუმართლა. ასეთ სიტუაციაში არგენტინის ნაკრები,—ამბობს პასარელა,—ყველაზე ღირსეულ ჩემპიონად მესახება.

## „ელ გრაფიკოს" კლასიფიკაცია

არგენტინის საფეხბურთო ჟურნალი „ელ გრაფიკო" ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ავტორიტეტული გამოცემაა სამხრეთ ამერიკაში. 1919 წლის შემდეგ ფეხბურთის სამყაროში იგი დიდი და სამართლიანი პოპულარობით სარგებლობს. „ელ გრაფიკოს" რეფერენდუმებში, როგორც წესი, წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობენ, ამიტომ ჟურნალში დაბეჭდილ ყოველ სიტყვას დიდი წონა აქვს.

მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ „ელ გრაფიკომ" მსოფლიო ფეხბურთის „ვარსკვლავთა" სია შეადგინა (მოთამაშეები ჟურნალმა ანბანის მიხედვით დააწყო). ამ სიაში მოხვდნენ არგენტინელი მარადონა, დანიელი ელკიაერი, ესპანელი ბუტრაგენიო, ინგლისელი ლინეკერი, ფრანგი ამორო, ბრაზილიელი სეზარი და საბჭოთა ფეხბურთელი ბელანოვი. ამ სიას დართული აქვს „სათადარიგო ვარსკვლავთა" მოკლე ნუსხაც, რომელშიც მოხვდნენ: დანიელი ოლსენი, ბრაზილიელი კარეკა, ფრანგი ფერნანდესი, ბელგიელი კულემანსი და გფრ-ის გუნდის წევრი ალოფსი.

## ვოდნიკელთა წარმატება

**ზელენოგრადში** (მოსკოვის ოლქი) ჩატარდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება „გმირი პანფილოველების პრიზზე". ტურნირში, რომელიც ორგანიზატორებმა კეთილი ნების თამაშებს მიუძღვნეს, 1970-71 წლებში დაბადებული ჭაბუკებით დაკომპლექტებული რვა გუნდი მონაწილეობდა: მოსკოვის ოლქის ქალაქ ზელენოგრადისა და სოლნეჩნოგორსკის კოლექტივები, ნიკოპოლის (უკრაინა), მოგილიოვის (ბელორუსია), ბელცის (მოლდავეთი), ირკუტსკის (იაკუტიის ავტონომიური ოლქი), რედკინოს (რსფსრ) გუნდები და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ფოთის „ვოდნიკის" სპორტსკოლის ნაკრები (დირექტორი — ამირან მელიქია). ფოთელმა ჭაბუკებმა ქვეჯგუფში სამივე შეხვედრა მოიგეს — დაამარცხეს ნიკოპოლელები (6:2), მოგილიოველები (4:0) და სოლნეჩნოგორსკელები (4:2). ფინალურ ტურნირში ფოთელებმა ჯერ წააგეს ზელენოგრადელ თანატოლებთან (1:2), შემდეგ კი აჯობეს ირკუტსკის გუნდს (2:0) და პირველობა მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში დაწესებული სპეციალური პრიზებიდან ორი (ბომბარდირისა და საუკეთესო თავდამსხმელისა) ფოთელმა ლერი ცირამუამ დაიმსახურა. მან მეტოქეთა კარში 9 ბურთი გაიტანა. გამარჯვებული გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს ნუგზარ ლემონჯავამ (უფროსი მწვრთნელი) და ვაჟა ხინთიბიძემ (მწვრთნელი).

**იური გობრონიძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

ფოთი.



ფოთის „ვოდნიკის" ფეხბურთელთა გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## ორი რბოლის შემდეგ

**ტალინი.** აფროსანთა სასპარტაკიადო ტურნირში მედლებისთვის თორმეტი მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები იბრძვიან. მონაწილეთა შორის (პროგრამაშია აფროსნობის ათი სახეობა) არიან კეთილი ნების თამაშების რეგატაში გამარჯვებულნიც (მოსკოველი გიორგი შაიდუკო და სოჭელი ევგენი ბოგატირიოვი) ევროპის ჩემპიონი იუნიორებშიც (უკრაინელი იური ტოკოვოი), მსოფლიო პირველობის პრიზიორიცა (მოსკოველი იულია კაზაკოვა) და, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდები.

წლეულს პირველად „470"-იანთა კლასში ქალებიც გამოდიან. სხვათა შორის აქ ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო კეთილი ნების თამაშების ბრინჯაოს პრიზიორთა — უკრაინელების ლარისა მოსკალენკოსა და ირინა ჩენიკოვსკაიას ნავმა. საქართველოს წარმომადგენლები კი XI ადგილზე არიან.

ქალები კიდევ ერთ კლასში — „ვინდგლაიდერში" ასპარეზობენ. ჩვენი წარმომადგენლები აქაც ჯერჯერობით მეთერთმეტე ადგილზე იმყოფებიან. სამაგიეროდ ვაჟთა შეჯიბრებაში (ამავე კლასში) საქართველოს ნავი მეოთხე ადგილზეა.

დანარჩენ სახეობებში ორი რბოლის შემდეგ საქართველოს აფროსანთა შედეგები ასეთია: „470" (ვაჟები) — IX ადგილი, „სოლინგი" — XI, „მფრინავი ჰოლანდიელი" XI, „ფინი" — XII და „ვარსკვლავის" კლასი — VIII.

## მინსკის საჭიდაო სარბიელზე

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი გაბრიელ ბარჯაძე მინსკიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**მინსკის** სპორტის სასახლეში სპარტაკიადის მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ სამბისტები. შეჯიბრების პირველ დღეს სარბიელზე გამოვიდნენ 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეები. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების წევრებმა მეტისმეტად სუსტად იასპარეზეს — შეჯიბრებას ხუთივე მოჭიდავე გამოეთიშა.

ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების ჩემპიონი ბადრი ბასილაშვილი (57 კგ) პირველივე წრეში ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონს ანატოლი ნოვიკოვს (ლენინგრადი) შეხვდა და ქულებით (3:6) დამარცხდა, ხოლო შემდეგ ასევე ქულებით წააგო მინსკელ ანატოლი ტრუსკოვსკისთან. თბილისელმა ჯემალ გუდაევმა (68 კგ) ორივე შეხვედრა ვადაზე ადრე დათმო.

სამი წრე განვლო საბჭოთა კავშირის 1986 წლის ჩემპიონმა, საგარეჯოელმა პაატა ბუზარიაშვილმა. არადა, სპეციალისტები მას ფავორიტთა შორის ასახელებდნენ. პაატამ სასტარტო შეხვედრაში ვერაფერი გააწყო სპორტის ოსტატობის კანდიდატ საფარ ხუშვარტფვთან (ტაჯიკეთი) და ქულებით დამარცხდა მასთან, შემდეგ ანგარიშით 5:0 მოუგო სერგეი ვორკობოინიკოვს (ყირგიზეთი), მაგრამ მესამე წრეში ლენინგრადელ ალექსანდრე ბუკრაევთან მოეცარა ხელი (0:7).

ქვემძიმე წონაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ორი მოჭიდავე გამოიყვანეს: ეგნატე ზაზუნაშვილი და ალექსი ხაჩიძე. ზაზუნაშვილი რიჩარდას როციავიჩუსთან (ლიტვა) და ვალერი სელდეცკისთან (უკრაინა) დამარცხდა, ხაჩიძე — ანდრეი ზლობინთან (რსფსრ) და სერგეი ჩერვიაკოვთან (უზბეკეთი).

დიახ, შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის სამბისტებმა 11 შეხვედრიდან 10 წააგეს და თუ ასე გააგრძელეს გამოსვლა, გუნდი პირველ ათეულშიც ვერ მოხვდება.



### გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

ლონდონი—ლენინგრადი, ივლისი—ოქტომბერი, 1986 წ.



## პირველი პარტია

**28 ივლისს** 21 საათზე თბილისის დროით, ლონდონის სასტუმრო „პარკლეინის" სამეჯლისო დარბაზში დაიწყო გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩრევანშის პირველი პარტია. საათი ჩართო შეხვედრის მთავარმა მსაჯმა, დასავლეთგერმანელმა დიდოსტატმა და არბიტრმა ლოთარ შმიდტმა.

დაფაზე პირველი სვლა პაიკით გააკეთა მატჩის საპატიო სტუმარმა, ინგლისის უმაღლესი განათლების მინისტრმა ჯორჯ უოლდენმა. საპასუხო სვლაზე კასპაროვმა ერთ წუთამდე იფიქრა და მხედრით ითამაშა. მეტოქეებმა გაითამაშეს გრიუნფელდის დაცვა, დებიუტი, რომლისთვისაც ადრე არასოდეს მიუმართავთ ერთმანეთთან შეხვედრებში.

კარპოვი ალბათ, არ მოელოდა ასეთ სიურპრიზს და უპრეტენზიოდ თამაშობდა. კასპაროვმა ადვილად დაძლია სადებიუტო სიძნელეები. მალე გაიცვალა ლაზიერები, ეტლები და სრულიად თანაბარ მდგომარეობაში მეტოქენი დაზავდნენ.

აი, როგორ მოხდა ეს:

**ა. კარპოვი — გ. კასპაროვი**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. მf3 კg7 5. კf4 c5 6. dc ლa5 7. ეc1 dc 8. e3 ლ:c5 9. ლa4+ მc6 10. კ:c4 0—0 11. 0—0 კd7 12. ლb5 ლ:b5 13. კ:b5 ეac8 14. ეfd1 ეfd8 15. h3 h6 16. მf1 a6 17. კe2 კe6 18. ე:d8+ ე:d8 19. მe5 მ:e5 20. კ:e5 ეd2 21. b3. ყაიმი.

მეორე პარტია დღეს, 30 ივლისს გაიმართება. თეთრი ფიგურებით კასპაროვი ითამაშებს.

„ზენიტის" ცენტრალური საბჭოს ნორჩ წყალში მხტომელთა ღია პირველო...

## ვისაც ძალა და უნარი შესწევდა

**თამამად** შეიძლება ითქვას, რომ სპორტსაზოგადოებებს შორის „ზენიტის" წყალში მხტომელები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან ჩვენს ქვეყანაში. ზენიტელია სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადისა და ევროპის ჩემპიონი კონსტანტინე დროჟინიც, რომელმაც თავის სპორტულ ნადავლს ახლახან კეთილი ნების თამაშების ოქროს მედალიც მიუმატა. ზენიტელები არიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გენადი სტაროდუბცევი, სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა შეჯიბრება „დრუჟბას" (გამარჯვებული და ნორჩ წყალში მხტომელთა ევროპის პირველობის ოქროს მედალოსანი დიმა საუტინი და სხვები. ამიტომაა, „ზენიტის" ცენტრალური საბჭოს პირველობები დიდ ინტერესს რომ იწვევს. საინტერესო იყო ამ სპორტსაზოგადოების ნორჩ წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობაც, რომელსაც თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსმა უმასპინძლა. ამ შეჯიბრებას უნდა ეჩვენებინა, როგორი რეზერვი ეზრდებათ ზენიტელებს და საერთოდ საბჭოთა წყალში მხტომელებს.

შეჯიბრების მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად გაიყვნენ და საპრიზო ადგილებისთვისაც ცალ-ცალკე იბრძოლეს. თუმცა რამდენიმე მათგანი, ვისაც ძალა ერჩოდა და უნარიც შესწევდა, უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში გამოვიდა. მათ შორის იყვნენ, მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც: მალხაზ მერაბიშვილი, გოჩა გახარია, ნიკო ჩიტია და სხვები.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული გოჩა გახარია თერთმეტი წლისაა, მაგრამ ორი-სამი წლით უფროსებთან შეჯიბრებაში მონაწილეობდა. აქ მას მეტად ძლიერი მეტოქე ჰყავდა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დიმა საუტინი, რომლის მიღწევები უკვე გაგაცანით.

სხვათა შორის, დიმაც უფროსებში გამოდიოდა. იგი გოჩაზე ერთი წლით უფროსია. ტრამპლინიდან ხტომაში (13-14 წლის ბიჭების შეჯიბრებაში), ორივემ კარგი ოსტატობა აჩვენა, მაგრამ პირველობა მაინც უფრო გამოცდილმა საუტინმა მოიპოვა. მეორე იყო გახარია. მესამე ადგილზე კი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, 11 წლის ნიკო ჩიტია გავიდა.

საინტერესოა, რომ ჩიტიამ სპო... რტის ოსტატთა პროგრამით გა... რთულ შეჯიბრებაში პირველად მო... სინჯა ძალა, სპეციალისტებმა აღ... ნიშნეს, რომ ჩიტიას მოკლე ხა... ში კარგად აუთვისებია ამ პრო... რამის ნახტომები.

თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუ... ბლიკის სხვა წარმომადგენლებმაც... შეგახსენებთ, რომ ვერცხლის მე... დლები მოიპოვეს მალხაზ მერაბი... შვილმა (კოშკი) და საიხა კაიფა... ჯანმა (3-მეტრიანი ტრამპლინი) რომლებიც 15-16 წლის სპორ... მენთა ჯგუფში გამოდიოდნენ. ... იხამ კოშკიდან ხტომაში მესამე ად... გილი დაიკავა.

გვახარებს ის, რომ ჩვენს წყა... ლში მხტომელ სპორტის ოსტა... ტთა რიგებს კიდევ ორი შემ... ტა. ესენი არიან ლელა ჩანტლა... ძე და ხათუნა ბოლქვაძე.

ასპარეზობის შედეგების მიხედ... ვით დაკომპლექტდა „ზენიტის" ც... ენტრალური საბჭოს ნაკრები, რო... მელიც უკრაინაში ამავე ას... კის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე იასპარეზებს. ნაკრე... ბის ღირსებას სხვებთან ერთად დაიცავენ კაიფაჯანი, გახარია, ჩი... ტია და მერაბიშვილი.

**ავთანდილ ჭუვიშვილი**

## ზოგიერთი ტერმინის დაზუსტებისათვის

(დასასრული)

გადადის წმინდა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაზე, სადაც ფიზიკური დატვირთვები ჯანმრთელობის განმტკიცების კანონზომიერებათა შესაბამისად იცვლება („შესავალი ფიზიკური კულტურის თეორიაში". დამხმარე სახელმძღვანელო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებისათვის, მოსკოვი, 1983, გვ. 85). მაგრამ, როდესაც ფიზიკურ კულტურას სამკურნალოდ ვიყენებთ, ვარჯიშებს ვარჩევთ საგანგებო ინტენსივობით და, რაც მთავარია, განსაკუთრებული დოზით.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ მედიცინისა და ფიზიკური კულტურის იმ მუშაკთა მოსაზრებას, რომლებიც „გაჯანსაღებას" და „ჯანმრთელობის განმტკიცებას" ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ. გარდა იმისა, რომ „გაჯანსაღებას" და „ჯანმრთელობის განმტკიცებას" ერთმანეთში ურევენ, ეს ცნებები ზოგჯერ ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთმანეთში გადადიან, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს მთელი ფიზკულტურული მოძრაობის ძირითად ნიშნად გამაჯანსაღებელი მიზნები ვაღიაროთ.

გარდა იმისა, რომ გამოთქმა „გამაჯანსაღებელი" სწორი არ არის, უხერხულიცაა. გამოდის, რომ მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმული 100 მილიონამდე ადამიანი ავადმყოფია და გაჯანსაღებას საჭიროებს. კაპიტალისტური სამყაროს პრესას, რადიოსა და ტელევიზიასაც მეტი რა უნდა, მზამზარეულ სენსაციურ (რაც მთავარია, არასწორ) მასალას ვაწვდით: საბჭოთა კავშირში 100 მილიონამდე გასაჯანსაღებელი ადამიანი ყოფილა! ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მესვეურთა უპირველესი მოვალეობაა, ყველა მოვლენას თუ საგანს თავისი სახელი მოუძებნოს და დაარქვას. სადაც მკურნალობა საჭიროა, მკურნალობაზე უნდა ვილაპარაკოთ, სადაც ჯანმრთელობის განმტკიცებაა საჭირო — განმტკიცებაზე და ა. შ. ვიმეორებ, გაჯანსაღება სჭირდება ჩვენი საზოგადოების ვიწრო კონტინგენტს და არა მასას, მილიონობით ადამიანს. არც ის არის სწორი, როდესაც ვწერთ: „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა". თვითონ ტურიზმი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, იგი ითვალისწინებს ბუნებრივ და კლიმატურ დაბრკოლებათა გადალახვას, სიძნელეთა დაძლევას. ყოველი ლაშქრობა ორგანიზმის ფიზიკური განმტკიცების საშუალება და ძალთა თავისებური შემოწმებაა. არა მგონია ასეთ დატვირთვას გასაჯანსაღებელმა ადამიანმა გაუძლოს.

ამას წინათ ასეთი შინაარსის განცხადებას წავაწყდი: „სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე" აწყობს მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებას, რომლის პროგრამაშია მინი-ფეხბურთი, მძლეოსნური კროსი და ძალოსნობა". ეს ისეთი სახეობებია, რომლებიც ადამიანს ფიზიკურად აკაჟებს, ფიზიკურ ძალას და ამტანობას მატებს. ავადმყოფი, რომელსაც გაჯანსაღება სჭირდება, ვერც სიმძიმეებს ასწევს (არც უნდა ასწიოს) და ვერც კროსის დისტანციაზე ირბენს.

შეიძლება ზოგმა თქვას: ეს გამოთქმა უფრო დახვეწილია, თანაც უკვე დამკვიდრებულია და ხელს ნუ ვახლებთო. გამოდის, რომ ერთხელ შეცდომით წამოცდენილ სიტყვას, „ხელი აღარ უნდა ვახლოთ.

შეიძლება ჩვენი მოსაზრება ბევრმა არც გაიზიაროს. კეთილი და პატიოსანი, მაშინ ვიკამათოთ, იქნებ კამათმა მიგვიყვანოს სწორ დასკვნამდე. დაზუსტდება კიდევ ერთი ცნება ფიზიკური კულტურისა და სპორტის ტერმინთა ცნობარისათვის, რომლის შედგენა და გამოქვეყნება გადაწყვიტა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად დაზუსტებული და დახვეწილი ტერმინოლოგია აქვს მეცნიერების დარგს.

**ვასილ ელაშვილი,**
**პროფესორი.**

## ინტერესი და პოზიცია

— ბულგარეთს დიდი შანსები აქვს 1992 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს, — განაცხადა გაზეთ „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტთან საუბარში ამ ქვეყანაში სტუმრად მყოფმა მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანჩესკო ნეკი-რუსკონემ. უცხოელი სტუმარი აღტაცებული დარჩა ბულგარეთის სტადიონებით, სპორტული დარბაზებით, საერთოდ სპორტის... დმი იმ დიდი ყურადღებითა ... მზრუნველობით, რასაც ადგილო... რივი ხელისუფლება იჩენს.

— ოლიმპიური თამაშები რო... ჩაატარო, მთავრობა ყოველმხრ... მხარს უნდა გიჭერდეს. ბულგარე... თის ხელმძღვანელთა ინტერესე... და პოზიცია იმის მტკიცე გარა... ტიას იძლევა რომ ეს ქვეყანა ზა... მთრის ოლიმპიურ თამაშებს უმა... ღლეს დონეზე უმასპინძლებს.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი 29-ე ტირაჟებისა, რომლებიც 20 ივლისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** გაიყიდა 673.952 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 1889 მანეთია, ოთხისთვის (1598) — 37, სამისთვის (30446) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 5.700.659 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (33 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (7189) — 87, სამისთვის (150355) — 5.

მოგებული თანხის განაღდება 4 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 3... **ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **8.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიო... ნატი ფეხბურთში: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკო... ვი) — **22.40 (1);** მსოფლიო ჩემპი... ონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის მატჩ-რევანში — **0.25 (1).**

**საქართველოს ტელევიზია.** **30 ივლისი.** სსრ კავშირის ჩემპი... ონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუ... თაისი) — **20.00.**

**საქართველოს რადიო.** **30 ივ... ლისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილი... სი) — „ტორპედო" (ქუთაისი) — **21.00;** სსრ კავშირის პირველო... ფეხბურთში I ლიგა. „გურია" — „კოტაიკი" — **22.15.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე**


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 0750...